აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №9

28/12/2017 წელი **ქ. ბათუმი**
11[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე და ზურაბ გოლიაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2018 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**